ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
9
მაისი
№ 55 (10448
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესი

საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე (1991 წლის 26 მაისამდე) მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებები (ტელევიზია, რადიო, პრესა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად მუშაობენ შემდეგი წესის შესაბამისად:

1. ტელევიზია:

13 მაისის ჩათვლით პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს ან მის ნებისმიერ წარმომადგენელს ყოველდღიურად ეთმობა არაუმეტეს 15 წუთისა საქართველოს ტელევიზიის 1 პროგრამით.

14 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს ან მის წარმომადგენლებს ეძლევათ თანაბარი დრო ყოველდღიურად (20-30 წუთი) საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით;

პრეზიდენტობის კანდიდატებს და მათ წარმომადგენლებს თავიანთი სურვილით შეუძლიათ გააერთიანონ საერთო დრო (ტელეკამათისათვის და ა. შ.) განცხადებები ამის შესახებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა შემოვიდეს წინა დღეს არაუგვიანეს დღის 11 საათისა.

24 მაისის ჩათვლით პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს შეუძლია ყოველდღიურად გააკეთოს ინფორმაციული ხასიათის განცხადება 1 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით. განცხადება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა შემოვიდეს იმ დღის 15 საათამდე. ტექსტს კითხულობს დიქტორი.

2. რადიო:

24 მაისამდე საქართველოს რადიოში საარჩევნო კამპანიას დაეთმობა:

ა) 10 წუთი ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვებებში;

ბ) 1 საათი კვირაში—საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში.

რადიოთი გამოსვლის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ პრესჯგუფს:

ა) საინფორმაციო გადაცემაში მონაწილეობისათვის—არაუგვიანეს წინა დღისა,

ბ) სხვა გადაცემებში მონაწილეობისათვის —1 კვირით ადრე.

3. პრესა (რესპუბლიკური სახელმწიფო გაზეთები).

პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს უფლება აქვს 25 მაისამდე კვირის განმავლობაში ზემოაღნიშნულ გაზეთებში გამოაქვეყნოს ნებისმიერი სააგიტაციო მასალა და სხვა ინფორმაცია ერთი საგაზეთო გვერდის საერთო მოცულობით.

ამისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესჯგუფს განცხადება და გამოსაქვეყნებელი მასალა უნდა წარედგინოს წინა კვირის შაბათამდე. გამოქვეყნებისას დაცული იქნება ამ მასალის წარდგენის რიგითობა.

ადგილობრივი პრესა:

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გაზეთები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ნებისმიერი სააგიტაციო მასალა და სხვა ინფორმაცია. თითოეულ რაიონში ინფორმაციის გამოქვეყნებისა და თანაბრობის დაცვისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი ტერიტორიული საარჩევნო კომისია.

თანადგომა

გლოვობს სრულიად საქართველო!

აღმართს შემდგარ ქართველებს ქვა წამოგვაწყია ბუნებამ; მიწისძვრამ ტანჯვა გაგვიათკეცა.

ვერ მოგვდრეკს გასაჭირი... ურთიერთთანადგომით, სიყვარულით, ბრძოლით და შრომით ქართველი ერი მაინც მიაღწევს სანუკვარ ოცნებას!

## ვერ მოგვდრეკს გასაჭირი...

დედათა და ბავშვთა სანატორიუმ „ჭკადუაშს" არაერთხელ უტვირთია კეთილშობილური მისია. არაერთხელ გაუწვდია ხელი უმწეო ადამიანთათვის. სომხეთში მომხდარმა მიწისძვრამ ათასობით ოჯახი დატოვა უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ. ქართველები მხარში ამოუდგნენ სომეხ ძმებს. ჩვენი რაიონის წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, მოსახლეობამ 150 ათასი მანეთი გადარიცხა მათთვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა კი 500 ათასი მანეთი გაიღო დაზარალებულთათვის. მაშინ სანატორიუმმა 70 ოჯახი შეიკედლა ერთი წლით. არაერთხელ ხელი მოვუმართეთ ჩერნობილის ზონის მოსახლეობასაც.

ივნისის პირველი რიცხვებისათვის სანატორიუმი ხეზონის გახსნისათვის ემზადებოდა. კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა კურორტის კარ-მიდამო, მოეწყო სასადილო, შეკეთდა საძინებელი კორპუსები, სასადილო. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა პოლიკლინიკას. მოეწყო აბაზანები და სამკურნალო შხაპები. სამედიცინო კაბინეტები და ლაბორატორიები შეივსო საჭირო რეაქტივებით. ვფიქრობდით, ჩვენი რეგიონის მშრომელებს საკადრისად დავხვდებოდით, მაგრამ... მიწისძვრამ ერთბაშად დიდი უბედურება დაგვატეხა თავს.

სანატორიუმის კოლექტივმა გადაწყვიტა: მიმდინარე სეზონში ადგილობრივ დამსვენებელთა მხოლოდ ოცი ოჯახი მიიღოს, დანარჩენი ადგილი კი, დაახლოებით 70 ოჯახისათვის, გამოყოს სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულთათვის.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბუნების მიერ მიყენებული ტრამვა შევუმსუბუქოთ ქართველებს.

ხ. ბალათურია,
დედათა და ბავშვთა სანატორიუმ „ჭკადუაშის" დირექტორი.

## გავუთბოთ ერთმანეთს სული...

დღე ისე არ გავა ახალი ტკივილი არ შეემატოს ჩვენს დაძაბულ ყოფას. ალბათ სირცხვილია გამხელა, მაგრამ შიშით ვიძინებთ და ვიღვიძებთ. ვინ იცის, კიდევ რას გვიმზადებს განგება... ცოდვილიანია ადამის მოდგმა, ეგებ, სწორედ ღვთის რისხვაა ჩვენს თავს. ვერაფერს გავაწყობთ, ისღა დაგვრჩენია, გავამხნევოთ ერთმანეთი და ვილოცოთ სულისა და მამულის გადასარჩენად.

მოყვასისადმი ხელის გამართვა ჩვენ არ გვესწავლება,—ქართული ჯიში თავისთავად გულისხმობს ამას.

სტიქიური უბედურების ზონაში დასახმარებლად ჩასულთა არნახული თანადგომა იგრძნობა. ამ დღეებში ჩაის ექსპერიმენტალური საწნეხი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ნუგზარ გულუა) 30 ათასი მანეთი გადარიცხა დაზარალებულთა ფონდში. გარდა ამისა, გაიგზავნა 500 კილოგრამი ჩაი, ორი კარავი, ორი კუბური მეტრი დახერხილი ხე-ტყე. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა საკუთარი სახსრებით შეძენილი ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პირველი მოხმარების საგნებიც გაუგზავნეს თანამემამულეებს.

ისევ ჩვენ თუ ვუშველით, ისევ ჩვენ თუ გავუთბობთ სულს ერთმანეთს!..

ნ. მოსიძე.

ტკივილი

## ჩვენ სავანედან ვართ...

ხევდიანი განწყობილება იგრძნობოდა იმ დღეს ქალაქის სკოლა-ინტერნატში. გაზაფხულის ამ ნათელ დღეს სკოლის ეზო ატირებული პედაგოგებითა და ბავშვებით, დარდიანი მშობლებით იყო სავსე.

—ყველაფერი დაენგრათ, მიწამ პირი ჰყო, გაგონილა ამდენი მსხვერპლი?—ისმოდა აქეთ-იქიდან.

ბუნების რისხვამ საქართველოს ახალი უბედურება მოუტანა. სამოთხისმაგვარი კუთხე რაჭა-იმერეთი გაიმეტა ამჟამად სტიქიამ.

„შეუნდევ ცოდვა!.. ნუ აიღებ ხელსო"—შეღაღადებდა აკაკი ღმერთს და. დღეს სადღა არის მისი ყელმოღერებული მოდინახე, ნინოწმინდა, სავანე...

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთა დახმარების სურვილმა მოლოდინს გადააჭარბა. სახელდახელო მიტინგზე სიტყვით გამოსულმა დირექტორმა ნინო ავალიანმა ოპტიმისტურად განაწყო მოსწავლეები. მიტინგზე გადაწყდა დავხმარებოდით წყალწითელას სკოლა-ინტერნატის ბავშვებს.

სამ მაისს სურსათითა და ტანსაცმლით დატვირთული ავტობუსით გავემართეთ შემთხვევის ადგილისაკენ, საშინელი სურათი გადაგვეშალა წყალწითელას პანსიონატში, სადაც გადმოეყვანათ სანჩერელი ბავშვები. ცრემლიანი, შეშინებული თვალებით გვიყურებდნენ ისინი. როგორ გაუნათდათ სახეები, როდესაც თანატოლებისაგან მიიღეს სურსათი. ზოგმა მურაბები მოითხოვა, ზოგმა ვაშლი... ჩვენც გავიხარეთ, რაღაც კმაყოფილების გრძნობა დაგვეუფლა. ბავშვების უმრავლესობას დედები და ახლობლები ახლდნენ. კუთხეში ორი პატარა მიმჯდარიყო. ისინი არაფერს ითხოვდნენ. მოვეფერეთ და საჭმელი შევთავაზეთ, კითხვაზე სად იყვნენ მათი მშობლები და სადაურები იყვნენ გვიპასუხეს: ჩვენ სავანეიდან ვართ, მშობლები დაგვეღუპაო.

ყველაფერს მოევლება ამ ქვეყნად, კვლავ აყვავდება ნუში ამ მხარეს, კვლავ წამოიმართებიან ოდა—სახლები და გაგრძელდება სიცოცხლე, მაგრამ აღარ იქნებიან მიწისძვრის მსხვერპლნი, მათ ხსოვნას, ხალხი სანთლებად აინთებს...

მოვდიოდით ზუგდიდისაკენ და ყურში ჩაგვესმოდა ორი ობოლის ხმა: „ჩვენ სავანეიდან ვართ"...

ლეილა ხუფენია,
ქალაქის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიტინგი თავისუფლების მოედანზე

ორ მაისს თავისუფლების მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადებისა და სხვა სადღეისო აქტუალურ საკითხებზე მიტინგის მონაწილეთა წინაშე ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა ზუგდიდის პრეფექტი ბატონი თ. ჟორჟოლიანი.

ორატორი დაწვრილებით შეჩერდა იმ გადაუდებელ პრობლემებზე, რომლებიც თან ახლავს იმ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას, როგორიცაა პრეზიდენტის არჩევნები. თ. ჟორჟოლიანმა გამოთქვა რწმენა, რომ ზუგდიდელი მშრომელები ერთსულოვნად მივლენ 26 მაისს საარჩევნო უბნებში და განახორციელებენ თავიანთ მოქალაქეობრივ უფლებას, ხმას მისცემენ რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებად დასახელებულთა შორის ყველაზე ღირსეულს, საქართველოს ეროვნული მოძრაობის უპირველეს ლიდერს ბატონ ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას.

შემდეგ ჟორჟოლიანმა ხაზგასმით ილაპარაკა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტზე შექმნილ მდგომარეობაზე და იმ სიძნელეებზე, რომელიც თან სდევს მომსახურების ამ სფეროს. საუბარი შეეხო მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობას. ითქვა, რომ სწორედ ახლა წყდება მიმდინარე წლის მოსავლის ბედი. ამ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბულობის პერიოდში, როცა საქართველო ბუნების სტიქიამაც არ დაინდო, ქუდზე კაცის გამოსვლაა საჭირო მინდვრის სამუშაოთა მაღალორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ლოზუნგებისა და ყალბი პათეტიკური მოწოდებების ხმაურისა და სხვათა მოიმედეობის დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს, როგორც არასდროს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს ხოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადება და მხარდაჭერა ჭირდება. თავისუფალ საქართველოს ძლიერი ეკონომიკა უნდა ჰქონდეს. ძლიერი ეკონომიკა კი გამართული მარჯვენით და სახალხო მეურნეობის გონივრული გაძღოლით უნდა შევქმნათ. ვიშრომებთ მუყაითად, ეს იმას ნიშნავს, რომ შემოდგომაც უხვი და ბარაქიანი გვექნება.

დასასრულ ბატონმა თ. ჟორჟოლიანმა პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე.

# შრომას სიმღერაც რომ ამშვენებდეს

ბუნებამ ნიჭიერება და ხელოვნების სიყვარული დაანათლა კუკური ლშხერელს, თითისტოლა ბიჭუნა იყო, როცა ერთნაირი ოსტატობით უკრავდა გიტარაზე, ფანდურზე, აკორდეონზე, თან წკრიალა ხმით დამღეროდა მეგრულ ხალხურ სიმღერებს. მისი მსმენელები ერთხმად აღიარებდნენ კუკურის განსაკუთრებულ ნიჭს. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეობისას მონაწილეობდა საქალაქო თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და არაერთხელ მოიპოვა ლაურეატის წოდება.

სკოლის დამთავრების შემდეგ კუკური ლშხერელი დრამატულ თეატრში მიიწვიეს მსახიობად. წარმატებები აქაც თვალსაჩინო ჰქონდა. მაგრამ სიმღერის სიყვარულმა გადასძალა და დატოვა გულდაწყვეტილი მაყურებელი, როცა თეატრიდან კულტურის სახლში გადავიდა და იქ საესტრადო ანსამბლი ჩამოაყალიბა.

ახლაც ახსოვთ რესპუბლიკის ქალაქსა და რაიონებში ამ ანსამბლის კონცერტები.

კუკური შემდგომ დიდხანს იდგა ქართული ლექსისა და სიმღერის ქომაგად აფხაზეთში, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ასსრ პროფკავშირის კულტურის სახლთან არსებულ საესტრადო ბრიგადას, გულრიფშის კულტურის სახლს, გუდაუთისა და ოჩამჩირის საესტრადო, გალის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს. თვად აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მღეროდა. იგი საკავშირო ფესტივალის ლაურეატიც გახდა, დაუსწრებლად ინსტიტუტიც დაამთავრა და ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობა მიიღო, მაგრამ მოწოდებისთვის არც მაშინ უღალატია.

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ზედაეწერის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელიც თვითონ ჩამოაყალიბა. გატაცებით მუშაობდა ახალბედებთან. ანსამბლმა არაერთი წარმატება მოიპოვა საკავშირო კონკურსებზეც, საზღვარგარეთაც. მის მიერ დამუშავებულ ქართულ მანგებს მოხიბლულნი უკრავდნენ ტაშს პოლონელები, რუმინელები, ბულგარელები, გერმანელები.

კუკური კვლავ ზუგდიდშია, ისევ რაიონის სოფლებში თვითმოქმედ ანსამბლებს ხელმძღვანელობს, კვლავაც გატაცებით იღვწის, რათა შრომას სიმღერაც ამშვენებდეს, რომ ცხოვრება უფრო იოლი და მიმზიდველი იყოს.

ზ. ალშიბაია

# ხალხი ასე ფიქრობს, სჯის

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ყურადღება მიიპყრო ლოვარდ ტუხაშვილის სტატიამ, რომელიც ამჟამად ჩვენში მიმდინარე მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ეხება. ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ავტორის ფართო განათლებაში, კომპეტენტურობაში. და რაც მთავარია, მის მამულიშვილურ შემართებაში. მეცნიერი და პოლიტოლოგი შინაგანი შეშფოთებით წერს იმ ტრადიციულ ნაკლზე, რაც ჩვენს ხალხს, უფრო სწორად, მის ერთ ნაწილს ტრადიციულად თან სდევდა ისტორიული ძნელბედობის ჟამს. ეს არის გამძაფრებული პირადი ამბიციები, ძალაუფლებისაკენ თვითმიზნური ლტოლვა, რაც პიროვნებას გონებას უბნელებს და ქვეყნა-გრძნობებს აძლევს გასაქანს.

დაკვირვებული მკვლევარი ქართველთა ყველა გასაჭირის, სახელმწიფოებრივი კატაკლიზმების ერთერთ მთავარ მიზეზად სწორედ შინა აშლილობას, ურთიერთქიშპობას მიიჩნევს. და ყოველივე ამის ხაზგასმით ავტორი გაფრთხილების, განგაშის ზარს ჩამოკრავს, რათა ამჟამინდელ ეტაპზეც ამ ავბედითმა სენმა უბედურება არ მოგვიტანოს.

# ახლა ქიშპობის დრო ადარაა

რა ხდება სინამდვილეში, ჩვენს თვალწინ? დაძაბული მდგომარეობა ეკონომიკაში, გაუთავებელი დეფიციტი, დანაშაულები, დარღვევები, სისასტიკე და უწესრიგობა, ანდა ავიღოთ სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება. და ასეთ დროს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებას კი არა, ერთიანობის, თანხმობის მიღწევას უნდა ვესწრაფოდეთ.

ასეთი განსაცდელის ჟამს, როცა გარეშე ძალებთან ერთად სტიქიამაც ულმობლად დაგვკრა ხელი, ყოველგვარ წყენას უნდა ვძლიოთ და გარს შემოვეწყოთ მამულს ერთგულ გუშაგებად.

დალი ცხონდია,
მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგი.

ჩაი — 91

# სეზონის შესახვედრად

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივი ყოველწლიურად 3 ათას ტონაზე მეტ ნედლეულს აბარებს მრეწველობას, საკუთარი მარკით აღგილზევე უშვებს დაფასოებულ ხარისხოვან ჩაის პროდუქციას და აგზავნის ყაზახეთის რესპუბლიკაში.

465 ჰექტარი პლანტაცია მზადაა სკრეფად. აქ აგროვადებში ჩატარდა ყველა საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაო. მზადყოფნის მდგომარეობაშია ჩაის მექანიზებული საკრეფი 42 „საქართველო", მწვანე მინდვრის ოსტატები მზად არიან სეზონისათვის. მრეწველობას მიეყიდება 3700 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. თუ კი კლიმატური პირობები შეიქმნა ხელსაყრელი კრეფა დაიწყება 15 მაისიდან. გაზრდილია მეჩაიეთა ანაზღაურების თანხები, ამასთან არის პრობლემები:

გასაჭირი ადგათ ავტოსატრაქტორო პარკში. მექანიზატორები სათადარიგო ნაწილების მწვავე დეფიციტს განიცდიან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზები კი მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფენ ავტოპარკის მოთხოვნილებას სათადარიგო ნაწილებზე.

კომბინატის კოლექტივის მშრომელთა სამსახურშია დამხმარე მეურნეობა, რომელსაც უძღვება კომბინატის მთავარი აგრონომი კოტე ფანთია.

სულ მალე,—ამბობს მთავარი აგრონომი, —კომბინატის მშრომელებს უზრუნველვყოფთ ადგილობრივ სათბურებში გამოყვანილი ბოსტნეულით, პირველ რიგში კიტრით, ხოლო შემდგომ პომიდორით და სხვა.

სიმინდი სამარცვლედ და სასილოსედ დავთესეთ 50 ჰექტარზე, სოიო და სიმინდი მწვანე მასად 15 ჰექტარზე, ლობიო სამარცვლედ 3 ჰექტარზე.

* * *

კომბინატის ჩაის ფაბრიკის მთავარ ტექნოლოგთან თელესი ხარებავასთან საუბარში გამოირკვა, რომ ფაბრიკა მზადაა მიიღოს და გადაამუშაოს 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ფაბრიკის დღიური წარმადობა 35-40 ტონაა. არის სიახლე: დამონტაჟდა გრანულირების ხაზი, რომლის მიზანია პროდუქციის საბოლოო სახის გაუმჯობესება. საიმედოდ შეკეთდა ნახევარფაბრიკატის, დამხარისხებელი, დამფასოებელი საამქროები.

სეზონისათვის ფაბრიკის მზადყოფნის საქმეს მთელი ძალისხმევა მოახმარეს მთავარმა მექანიკოსმა ვალერი შონიამ, მექანიკოსმა მერაბ კუკავამ, ზეინკალმა ზაურ ყალიჩავამ და სხვებმა, მომარაგებულია 100 ტონამდე მაზუთი.

ეციათ...

არა ნოტაციის, არამედ კეთილი რჩევის ტონით

# იფიქრე, სანამ გადაწყვეტ

ცხოვრების არსზე, გარემომცველ სინამდვილეზე ათასნაირი დამოკიდებულება არსებობს. ნებისმიერი ახალგაზრდისათვის, ვინც ხვალ და ზეგ ფეხს შედგამს დიდ ცხოვრებაში, გადამწყვეტი უნდა იყოს ის, თუ როგორია მისი ზნეობრივი პოზიცია, მრწამსი. შეიძლება ამა თუ იმ საგანს მეტ-ნაკლებად ფლობდე, მაგრამ როგორც ერის ღირსეულმა შვილმა, შენეული სიმაღლე ყოველნაირ პირობებში უნდა შეინარჩუნო...

ხშირად დაგფიქრებულვართ რატომ მოეძალა ჩვენს ყოფას ამდენი მანკიერება და ჭუჭყი? ალბათ იმიტომ, რომ ულმერთობით იავარქმნილ დროში მოგვიწია ცხოვრებამ. ადამიანები თანდათან დასცილდნენ საკუთარ სახეს. კეთილ მოქალაქეობრივ მისიას, წინაპართაგან ნაანდერძევ სიწმინდეს. მაგრამ ვიცით და ურყევადაც გვჯერა: საკუთარი სიყმაწვილიდან, მშობლიური სკოლიდან ყოველ თქვენგანს მოჰყვება ნათელი მაგალითები, იანს. ნუ მოგვიჩნევა ეს ხმამაღალ ნათქვამად. მართალია, ყოველი თქვენგანი გმირი ვერ გახდება. მაგრამ მოვალე ხარ რაღაც ნაწილი არაჩვეულებრივენით უთქმელი შთაგონება. და ამ თქვენს საოცრად შეურყვნელ განცდებს სულს უდგამდნენ თქვენი საყვარელი მასწავლებლები.

უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის. თუ საჭიროება შეიქმნა, ალბათ მოიქცევი ისე, როგორც მოიქცნენ ცხრა აპრილის ტრაგიკული განთიადისას მამულის სადარაჯოზე მდგომი შენი თანატოლები. ო, როგორ მინდა ცოტათი მაინც გავდე გურამ რჩეულიშვილის გმირს, გნებავთ სამას არაგველთაგანს ერთერთს, ან თვით სწორუპოვარ ცოტნე დადიანისა და ამაღლებულისა სულის სიღრმეში გადაარჩინო.

ბევრი რამ უნდა შეგეძლოს. არ გისურვებ მარტო ერთი პროფესიის ფარგლებში ჩაკეტვას. თუ სახარატო დაზგასთან დგომა მოგიწია, შეეცადე შენს მიერ გამოჩარხული დეტალი უზადო იყოს. იქნებ ქვითხუროს ხაინტერესო ხელობა დაგაკისრა ღმერთმა და ბედისწერამ. მაშინ ეცადე უნაკლოდ აითვისო. იგი და გამოადგე შენს მრავალჭირნახულ მამულს. შესაძლოა ინჟინრის, ან აგრონომის პროფესია გიზიდავს. ნება შენია, ოღონდ საკუთარ გულს უნდა დაეკითხო, სურვილი და შესაძლებლობა ერთმანეთს უნდა შეუწონო, რათა ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნა არ გაგიძნელდეს.

ნადაც რომ არ უნდა მოგიწიოს ლწვაგარჯამ, ეცადე ყველგან კაცური კაცის ავტორიტეტი გმოსავდეს, სამშობლოს ერთგული მსახურის სახელით დაიარებოდე.

შინაგანი სიხარულის, ბედნიერების განცდა მხოლოდ ამ გზით სიარულში დაგეუფლება.

ჟ. თილუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუფთა ჰაერი ყველას სჭირდება

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემათა შორის. ჰაერის გაჭუჭყიანებით ნადგურდება ყოველივე რაც ჩვენს ირგვლივაა — ფლორა, ფაუნა, ნაგებობები, ფასდება ადამიანის ჯანმრთელობა..

როგორც ცნობილია ამიერკავკასიაში დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივად რეგულირებს. ამას ემატება ნალექების რაოდენობა. განსაკუთრებით მძიმე ელემენტები ძირითადად სტრატოსფეროს ქვეშ ილექება. ამიტომ ამ მხარეში დაუშვებელია ისეთი ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ჰაერის რადიაციულ გაჭუჭყიანებას გამოიწვევენ, რადგან თუ სხვა რეგიონში კარგი ბუნებრივი ვენტილაციის პირობების გამო მცირედი რადიაცია სახიფათო არ არის, დასავლეთ საქართველოში იგი შეიძლება კატასტროფიული აღმოჩნდეს.

ქალაქისა და რაიონის ზრდის სწრაფმა ტემპმა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებამ მნიშვნელოვნად განაპირობეს საჰაერო აუზის საგრძნობი გაჭუჭყიანება.

ატმოსფერული ჰაერის გამაბინძურებელთა შორის დიდი ხვედრითი წილი მოდის სამრეწველო საწარმოებზე, 1990 წლის მონაცემებით მათ მიერ ატმოსფეროში ამოიტყორცნა 3450 ტონა მავნე აირები.

ქალაქ ზუგდიდში ატმოსფეროში გამონაბოლქვი მავნე დამაბინძურებელ ნივთიერებათა უდიდესი ნაწილი მოდის საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვზე".

„საქქალაქმრეწვის" ცელულოზისა და საფუარის წარმოების დახურვის შედეგად გამოტყორცნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა 4147 ტონით შემცირდა. მაგრამ მიუხედავად ამისა მის მიერ ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოიტყორცნება 1961 ტონა მავნე ნივთიერებები.

დიდია ფაიფურის ქარხნის წვლილიც ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების საქმეში. იგი ყოველწლიურად 0,88 ათასი ტონა მავნე აირს უშვებს ჰაერში, მის წილად ქალაქის ჰაერის საერთო გაჭუჭყიანების 28 პროცენტი მოდის.

დღეისათვის ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე არსებულ 45 საწარმოს მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის 158 სტაციონალურ წყაროდან ყოველწლიურად ამოიფრქვევა 8450 ათასი ტონა მავნე ნივთიერებანი, რომელთა სტრუქტურული შემადგენლობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მყარი ნივთიერებანი 0,320 ათასი ტონა, თხევადი და აირადი 8,13 ათასი ტონა თხევადი და აირადიდან უდიდესი წილი მოდის აზოტის ჟანგეულზე (1,51 ათასი ტონა).

ზემოთხსენებული „საქქალაქმრეწვისა" და ფაიფურის ქარხნის გარდა ქალაქისა და რაიონის ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანებაში „მოკრძალებული წვლილი" შეაქვთ ისეთ საწარმოებს, როგორიცაა ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატი, ჩაის კომბინატი „ოდიში", ჩაის საწონა ფაბრიკა, მანქანათმშენებელი ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებების საწარმოები, რაიონის ჩაის ფაბრიკები, მიკროჩაისფაბრიკები და სხვა საწარმოები და დაწესებულებები.

ჩამოთვლილ ორგანიზაციებში და დანარჩენებში დაბინძურების სტაციონალურ წყაროებს ძირითადად წარმოადგენს საქვაბეები, რომელთა უმეტესობას არ გააჩნია აირგამწმენდი მოწყობილობები. დაბინძურების 158 წყაროდან მხოლოდ 50 პროცენტს გააჩნია გამწმენდი მოწყობილობა, რომელიც ამჟამად გამართულ მდგომარეობაშია და შეესაბამება საპროექტო სიმძლავრეებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანადგარების უმეტესობა მორალურად მოძველებულია.

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების ერთ-ერთი უდიდესი წყაროა ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი. ზუგდიდში ფუნქციონირებს სატვირთო, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო, ტაქსომოტორების პარკი. მათ რიცხვს ემატება საუწყებო ტრანსპორტი და მექანიზმები, ასევე პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანები. ამასთან თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ზონაში გადის საკავშირო რესპუბლიკური დანიშნულების საგზაო მაგისტრალი. დაახლოებითი გაანგარიშებით ყველა სატრანსპორტო საშუალებების მიერ ატმოსფეროში გამონაბოლქვი მავნე და დაბინძურებული ნივთიერებათა რაოდენობა 15-16 ათას ტონას გადააჭარბებს.

აღნიშნულის თავიდან აცილებისათვის უნდა ხდებოდეს სატრანსპორტო ორგანიზაციებში შიდა წვის ძრავის შემოწმება გაზოანალიზატორებით და დიაგნოსტიკის საშუალებებით. ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო კომიტეტის მუშაკები შინაგან საქმეთა სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად სისტემატურად ატარებენ რეიდებს: ეგრეთწოდებული „სუფთა ჰაერი". შემოწმების დროს ხდება ორგანიზაციათა ხელმძღვანელების დაჯარიმება, ეძლევათ ვადა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში არ გააჩნიათ უმრავლეს შემთხვევაში გაზოანალიზატორები, ან ისინი გამოსულია მწყობრიდან, ხოლო თუ გააჩნიათ არ იციან მისი მუშაობის პრინციპი და ვერ ხმარობენ მას.

ქალაქსა და რაიონში ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების საქმეში შეიმჩნევა სეზონურობა. ზამთარში აღინიშნება გაჭუჭყიანების მაქსიმუმი, რაც გამოწვეულია საქვაბეების მაზუთზე და ღუმელის საწვავზე მუშაობით. ამასთან ხშირად ირღვევა მუშაობის რეჟიმი.

საწარმოო ტექნოლოგიური პროცესებისა და საქვაბეებით ამოფრქვეული მავნე ნივთიერებების შემცირებისათვის აუცილებელია წარმოება-დაწესებულებებში მყარ და თხევად საწვავზე მომუშავე ღუმელები და საქვაბეები გადაყვანილ იქნას გაზის საწვავზე, ეფექტური აირგამწმენდების და მტვერ დამჭერების დაყენება და მათი მოვლა-პატრონობისათვის შტატიანი სამსახურის შექმნა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჟანგბადის ყველაზე ეფექტური „ქარხანა" არის მწვანე ნარგავები. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქსა და რაიონში ახალი მწვანე ზონის შექმნას. განა ყველას არ სჭირდება სუფთა ჰაერი?

რ. როგავა,
ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის ატმოსფეროს დაცვის უფროსი ინჟინერი.

**აგრონომის ტრიბუნა**

# საიჯარო ფორმების დანერგვით

ამ ბოლო დროს კახათში ყველა სამსახურის მეცადინეობით და მშრომელი ადამიანების თანადგომით, დროულად იქნა მომზადებული ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებანი. შეიქმნა საწვავ-საცხები მასალების, მინერალური სასუქების, სათესლე მასალებისა და საწარმოო ინვენტარის გარკვეული მარაგი. ჩაის პლანტაციებში აგროვადებში და სათანადო ხარისხით იქნა ჩატარებული ისეთი სახის სამუშაოები, როგორიცაა: ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა. პლანტაციებში, ნიადაგის საზამთრო გაფხვიერება ტექნიკით, ხელით გადაბარვა, როგორც 286 ჰექტარ მოსავლიან, ასევე ახალგაზრდა პლანტაციებში. ჩაი ჩვენთან შემოსავლიანი დარგია და იგი იძლევა შემოსავლის 80 პროცენტზე მეტს. დამთავრდა გასხვლა, დასასრულს უახლოვდება აზოტოვანი სასუქების პირველი დოზის შეტანის სამუშაოები. წინ კიდევ გარკვეული საქმეებია, იქნება ეს სატრანსპორტო საშუალებების, ფარდულების შეკეთება, საჭირო ინვენტარით მეჩაიეთა უზრუნველყოფა თუ სხვა.

სეზონისათვის მზადაა კოლმეურნეობის ჩაის მიკროფაბრიკა, დანერგილია შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სრულყოფილი იჯარული ფორმები ყველა საწარმოო ბრიგადაში.

შრომის სტიმულირებისათვის შევიმუშავეთ და მეჩაიეთა შეკრებაზე განსახილველად წარვადგინეთ შრომის ანაზღაურების ისეთ ფორმებს, რომ სათანადოდ იქნეს შეფასებული მეჩაიეს მძიმე შრომა და ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობაც შევინარჩუნოთ ეკონომიურად საკმაოდ ღონიერი, როგორც ამას რესპუბლიკის დღევანდელი ინტერესები მოითხოვს.

დღევანდლისათვის ჩვენთვის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი არის საგაზაფხულო თესვის დროულად და ხარისხიანად ჩატარება. პირველი ხვნა ერთწლიანი კულტურების ქვეშ დავამთავრეთ დროულად და დავიწყეთ ახვევ ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, თესვა. თესვისათვის უზრუნველყოფილი ვართ სიმინდის საკუთარი წარჩეულის თესლით, ადგილზე ვაწარმოებთ და ასევე, ჯიშგანახლების მიზნით შევიძინეთ სოიოს კონდიციური თესლი, ასე, რომ სათესლე მასალით კოლმეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილია.

სამარცვლედ სიმინდი ითესება 280 ჰექტარზე, სასილოსედ და მწვანე ნასად—110 ჰექტარზე, სოიო—55, ბოსტნეული კულტურები 4 ჰექტარზე, რემონი 3 ჰექტარზე.

ტექნიკის სეზონისათვის მოსამზადებლად დიდი სამუშაოები ჩატარდა სამანქანო-სატრაქტორო პარკში, სადაც შექმნილია მთესავთა სამი ბრიგადა, რომელთაც შეიძაგრათ ტრაქტორები და მისაბმელი მანქანა-იარაღები.

მექანიზატორთა შრომითი დაინტერესების მიზნით შევიმუშავეთ შრომის ანაზღაურების ხელსაყრელი ფორმები. დღეისათვის დათესილია 120 ჰექტარი. კოლმეურნეობის გამგეობა და შესაბამისი სამსახურები ყოველნაირად ცდილობენ თესვა დამთავრდეს შემჭიდროებულ ვადებში.

საფუძველი ეყრება ასევე მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. დღეისათვის სიმინდი სასილოსედ და მწვანე საკვებად დათესილია 40 ჰექტარზე, დროულად ჩატარდა 42 ჰექტარზე. მრავალწლიანი ბალახებისა და რაფსის ნათესი ფართობების გაწოკვება აზოტოვანი სასუქებით. დაწყებულია და მიმდინარეობს მწვანე მასის აღება, რაც ხელს უწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მექანიზატორებს: დავით დარასელიას, შუმერ ქებურიას, ლემურ ბაკარანძეს, ოთარ აბსავას, გენადი გუგუჩიას, რევაზ გუგუჩიას, [illegible] გუგუჩიას, კაკო მასურაძეს, ბორის შელაწიას.

მშრომელთა შემართება წყვეტს ძირითადში მიმდინარე წლის მოსავლის ბედს, როგორც მეჩაიეობაში, ასევე ერთწლიან კულტურებში.

სამუშაოები გრძელდება, მონდომება და განწყობა მაღალია.

ჯ. გოჩია,
კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.

# ეკოლოგიური ცოდნა აღზრდის სამსახურში

29 აპრილს საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალმა ჩაატარა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ადამიანი და გეოგრაფიული გარემო".

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა გეოგრაფიის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგემ ვ. ნაჭყებიამ.

ამ თემასთან დაკავშირებით მოისმინეს მოხსენებები თემებზე:

გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები (მ. ჯიქია, ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი);

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ეკოლოგიური პრობლემები (ვ. ქირია, ქ. ზუგდიდის №5 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, მთავარი სპეციალისტი);

გეოგრაფიული გარემოს თეორიები და კრიტიკა (ვ. ნაჭყებია, გეოგრაფიის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე);

გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოებაზე და საზოგადოების გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე (დ. დაგარგულია, ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი);

საზოგადოება და ჩვენი რეგიონის ეკოლოგიური პრობლემები (გ. ესართია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ამავე ფილიალის საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილების გამგე, ეკოლოგიის სამეცნიერო რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი).

აღნიშნულმა ღონისძიებამ მსმენელებში დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია.

# გაზეთ „ოდიშის" რედაქციას

ნება მომეცით ჩვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა ვუთხრა შინაგან საქმეთა საქალაქო რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილეს ბატონ აზნორ დომენტის ძე ჭურღულიას ჩემი საჩივრის სამართლიანი გარჩევისა და მხარდაჭერისათვის.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აღდგება სამართლიანობა და კეთილი სძლევს ბოროტს, დამოუკიდებლობა მოგვცემს საშუალებას უტყუარად აღსდგეს ზნეობა, ღმერთმა გვიმრავლოს მართლწესრიგის ასეთი ობიექტური დამცველები.

თათუშა გულორდავა,
სოფელი რუხი.

# ჩუმი ტკივილი

## ჩემს მეგობარს

შენზე ერთი წლით უფროსი ვარ. სასწაულად იქცა განშორება... სევდამ და შფოთმა მოიცვა სამყარო... ჩაიფერფლა ნუგეშის ნატერფალით მოფენილი მიწა... შემდეგ უცნაურად გადაებნენ ძაძით მოსილი დღეები - ერთმანეთს.

...კიდევ ერთხელ დაიმსხვრა შეკოწიწებული სული. ლაწანი ჭერაც ყურში მიდგას... მსხვრევა იყო ჩუმი, დაირღვა დროთა კავშირი! სიტყვას აღარ შესწევს ძალა.

მძიმე იყო ხორცთან გაყრა. მძიმე და მტკივნეული... ბნელ ღამეში, ან უკეთ, გაცრეცილ ბნელის პირს...

ფრთხილად შევედი შენს ოთახში. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვჩერდებოდი. ცვარშეუმშრალი ყვავილები ირგვლივ მიმოვაბნიე. ცრემლიანი თვალებით დავაშტერდი გაყინულ სახეს.

დაობლდა სული... დაობლდა! სასაფლაო უკარება გახდა, სუსხიანი და უკარება. გაწეწილი ქარი დაედევნა ნაგვიანებ მგზავრს, მიაცილა სველ მიწაყრილამდე და დააგდო —მარტო იყოს.

...თეთრად შემოსილი შავი სამყარო, საფლავის ლოდებიდან წამომართული ზვინები...

ატირდა სული... ილტვოდა მეორის მოსაძებნად. გრძნობდა, სადღაც ახლო იყო, ახლო... განძრევა უჭირდა, ეშინოდა, უხეში მოძრაობით არ დაეფრთხო ოცნებადქცეული სიახლოვე.

ქვითინი სიჩუმეს შეერწყა. გამოეცხადა დედა ღვთისმშობელი და ჭვარი გადასახა. ჩამობნელდა. ნაგვიანევ მგზავრს უფრო შეაგვიანდა...

გრძნობდა და ეძებდა.

ეძებდა და ჩუმად ლოცულობდა წმინდა სალოცავის წინ მუხლმოყრილი. ლოცულობდა მეორედ შეხვედრის დღეზეც...

ასე გაიწელა დრო და ცისფერ მოგონებაში ჩაიძირა...

თეთრ ქალალდებს შერჩა სპილოსძვლისფერი თითები, გაბუტული ტუჩები, უძირო თვალების სითბო, სითბო და იდუმალი სიღრმე...

დადგა მეორედ ყვავილობა...

და შენზე ერთი წლით უფროსი გავხდი.

ნინო მეგონია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

# ვესტუმრეთ ბათუმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ ქართველთა უმრავლესობა საქართველოს ყველა კუთხეს არ იცნობს. არადა, ვინ არ მოხიბლულა ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაცი ადგილებით, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებით, რომლებიც ნათლად ღაღადებენ ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულზე, ღირსეულ ადათწესებზე.

გაზაფხული საუკეთესო დროა ტურიზმისა და ექსკურსიებისათვის. ზუგდიდის სამეურნეოთაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა გადავწყვიტეთ აჭარას გწვეოდით. ჩავედით ბათუმში. დავათვალიერეთ ბოტანიკური ბაღი, დელფინარიუმი, აკვარიუმი, პლანეტარიუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

ნასიამოვნები დავრჩით საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს წარმომადგენლების დ. გალოგრესა და შ. ჯიქიას მომსახურებითაც.

ბ. აბშილავა,
ფაბრიკის პროფკ[illegible]ის თავმჯდომარე.

რედაქტორი
აა მანტურია.

---

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი

12 მაისი 1991 წელი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(უმაღლესი ჯგუფი)

„ოდიში" ზუგდიდი — „ქუთაისი" ქუთაისი

დასაწყისი 18 საათზე

**გათამაშდება** ერთგულების ლატარია. გათამაშებაშია რვა ცალი მაცივარი „ორსკი", თითოეულის ფასი 860 მანეთი, რვა ცალი სარეცხი მანქანა, თითოეულის ფასი 250 მანეთი, მაგნიტოფონი „ფიშერი" ერთი ცალი —ღირებულება 1980 მანეთი, ველოტრენაჟორები ხუთი ცალი. თითოეულის ფასი 250 მანეთი, ტირაჟში არის ორმოცი ათასი ცალი ბილეთი, რეალიზირებული ლატარიის ბილეთების რაოდენობიდან ორმოცდაერთი პროცენტი იქნება ჩივთმოგება.

ლატარიის ბილეთები და შესასვლელი ბილეთები გაიყიდება ცენტრალური სტადიონის სალაროებში 10, 11, 12 მაისს დილის 10 საათიდან.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

---

**განცხადება!**

ზუგდიდის ხორცკომბინატი აცნობებს მოსახლეობას, რომ აწარმოებს კერძო სექტორიდან პირუტყვის დამზადებას. 1 კგ ცოცხალ წონაზე გაიცემა კომბინირებული საკვები 8 კგ. დადგენილ სახელმწიფო ფასებში.

მსურველებს შეგიძლიათ მიმართონ ქარხნის დირექციას ან შესაბამის სოფლის საკრებულოებს.

**ქარხნის მისამართია:** ზუგდიდი, სოფ. ახალაბასთუმანი, ხორცკომბინატი.

---

# კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჭე" გთავაზობთ

კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჭე" იღებს მსურველებს, რომელთაც სურთ დაეუფლონ მსუბუქი ავტომანქანის მართვას. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა.

პრაქტიკული სწავლა მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს, ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო"), და სამი ცალი სურათი 3X4.

საბუთებს მიიღება 10 საათიდან 13 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა ყოველ დღეს.

სწავლის ქირის გადახდა შეიძლება, როგორც ნაღდ ანგარიშზე ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, პოლიტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი 64.

ავტოსკოლა „მესაჭე".

---

მეუღლე ნარგო. შვილები: ნუგზარი, ქეთინო, მურადი, გელა, სიდედრი ფოთო ბენდელიანი და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გიორგი (ჟორა) კინტირიას ძე გულორდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს. გამოსვენება ჩხოროწყუ, ქებურიას 1-ლი შესახვევი 4.

---

მეუღლე ბაბუცა, შვილები: ემა. მიმოზა. სიძეები: მურთაზ თოდუა. მურად ხვიჩია, შვილიშვილები: ბიქტორი. კაკა, მაკა. კობა, დისშვილი თემურ ბულია, ბიძაშვილები: მოკონა ჭანტურია, ჟენია, ვარდიშა, ოსმანი, ჯანიკო. კაკო როგავები. ხოთო, ინგა ჩიქოვანები, დეიდაშვილები: ნუცა. ნონო, კანჯა ჩიქოვანები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შოთა ბიქტორის ძე როგავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 მაისს. დაკრძალვა 12 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კუიბიშევის 17, 18 საათზე.

---

რძლები: მერი ფიფიაშვილი, ტატიანა ქვარცხავა შორენა ლემონჯავა, შვილიშვილები ზური, ედიშერ. ირაკლი აბსავები, დისშვილები: არველოდ სვირავა, ვალუხია ცაავა, ოფელია ეხვაია, ვალიდა როგავა. ცოლისძმისშვილები: ნუნუ, ბოჩია. რობინზონ, ტიტიკო. დოდო ნარმანიები, სიძე ხუტა კალანდია. ბიძაშვილები: იპოლიტე. მეგონა აბსავები იუწყებიან

**არხიპო (კიტი) ეგნატეს ძე აბსავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9. 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს გამოსვენება ქ. ზუგდიდი, წალენჯიხის ქ. 17.

---

„საქსამშენმასალებით ვაჭრობის" ზუგდიდის სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების კოლექტივი იუწყება ამავე გაერთიანების თანამშრომლის

**კლიმენტინა სოფრომის ასულ აკობია-შონიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ვასილისა, შვილები: ალექსანდრე, ავთანდილი. ძმა ილარიონი, და ფედოსია, რძლები: გემოშა, ლუიზა. დოდო. შვილიშვილები: ამირანი, მალხაზი, თეა, თემური, დისშვილები: ლიდია დარასელია. ოთარ. გურამ პაჭკორიები, ანატოლი, გივი როგავები, ძმისშვილები: ეთერი, ალიკო, ნონა. თამილა, მურმანი გულნარა. აბესალომი ბეჟვაიები, ცოლისძმა ვანია, ცოლისდები კატია, ლიდა კაროპკინები, ბიძაშვილები, ნაშიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ორესტი ტაიას ძე ბეჟვაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10. 11, 12 მაისს. დაკრძალვა 14 მაისს 18 საათზე სოფ. ნარაზენში (საბეჟვაიოს უბანი).

---

შვილები: ბადრი. ნოდარი, გივი, და თამარა, რძლები ივდენი, იზო, ქეთინო, ეთერი. შვილიშვილები: თამარი, გიორგი, ოთარი. ომარი, რუსუდანი, ნარგიზი, თენგიზი, ითერი, მული ჟუჟა, მაზლი ხუტა ყურაშვილი, დისშვილები, ძმისშვილები, მულიშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამარა ალექსანდრეს ასულ ცინცაძე-ყურაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 11 მაისს. დაკრძალვა 12 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოლხიდის ქუჩა 8-დან.

---

კახათის სასოფლო პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან

**თალიკო დათიკოს ასულ შეროზია-ცხადაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ნონა. და ცუცა, რძლები: ლუბა ჩიქობავა, ნაზი ლატარია. სიძეები: ალიოშა ჯიქია, ანატოლი ლაგვილავა, შვილიშვილი ვალერი ლაგვილავა, დისშვილები: ლამარა. სერიოჟა, ჟუჟუნა, თენგიზი ქირიები. ელისო. ასმათი, მანანა, ლამზირა ჯიქიები. ძმისშვილები: როსტევან, თამარ მაქაცარიები. ნაზლიშვილები: იზო, ბელა ჩიქობავები, მულიშვილები: მურთაზ, ლალი როგავები. მზახლები ნიკოლოზ, ლოლა ლაგვილავები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შურა იაკის ასულ მაქაცარია-ჩიქობავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს. გამოსვენება ზუგდიდი გაგარინის 19-დან.

---

მეუღლე მიმოზა, შვილები მერაბი, ლემიკო, მანანა, სიძე ბიჭიკო ჩიხლაძე. ძმები: ნამია. მიშა, დები: საშა, მერი. შვილიშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლეო გერასიმეს ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 მაისს დაბა საბერიოში (გალის რაიონი)

---

კლარა ივარდავა და მუხრან გახარია ოჯახით თანაუგრძნობენ მწუხარებაში დილარ ივარდავას სიძის

**ნიკა სეხნიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

„საქსამშენმასალებითვაჭრობის" ზუგდიდის სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების კოლექტივი იუწყება ამავე გაერთიანების თანამშრომლის

**კლიმენტინა სოფრომის ასულ აკობიას**

გარდაცვალებას.

---

შვილები: ტანია, ფაჩა, ედემი, დულა, ტუტუ, რძლები: ლეილა სერგია, ნათელა ნაჭყებია. ქეთო კობახია, აზა კვაშილავა, სიძეები ალიოშა ნინუა, ალიკო ჩომახია, შვილიშვილები: ვიტალი, სოსო ნინუები, გია, კახა. თეა. ია, ხვიჩა. ედიშერი. ჯიმშერი თოდუები, გელა. ბელა. ლელა ჩომახიები. შვილთაშვილები: სანათა. ალიკა ნინუები. ძმისშვილები: პოლიკარპე. მუშური. ბორისი, ლიანა. როზა. ინეზა ხუნჯუები. მაზლიშვილები: ლულუნი ექსევი. ლენტრო. მულიშვილები: ჩუხა. ავილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ქსენია (მილიკო) ლავრენტის ასულ ხუნჯუა-თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს ს. ნარაზენში.

---

ნარაზენის პირველი არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი, მოსწავლეთა მშობლები, ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ამავე სკოლის კურსდამთავრებულის

**აბესალომ გურამის ძე ბერიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

რაიკოოპკავშირის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ლია ჩიქავას მამის

**დავით კალისტრატეს ძე ჩიქავას**

გარდაცვალების გამო.

---

გრიგოლიშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნანული დარსანიას დედის

**ლუბა სამსონის ასულ გაბედავა-დარსანიას**

გარდაცვალების გამო.

---

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 23 69 პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების [illegible] 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რაიონ[illegible]რედაქციის 2 17 09.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტ[illegible] მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი [illegible] შეკ. №1786